# მომავალი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 90 კვირა, 13 დეკემბერი 1909 წ. № 90

გაზეთი „მომავალი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თვიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. პირველ ნოემბრიდან წლის ბოლომდე თფილისში 1 მან. 60 კაპ. თფილისს გარით 1 მან. 80 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

განცხადებეს ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელ—ზე 10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ერთი შაური. რედაქციის ადრესი: თფილისი, რუსის ქუჩა № 3.



პ. ს. დოროუნოვის

მაღაზიაში

საშობაო ბაზარი

უდიდესი იაფი ვაჭრობა

9 დღის განმავლობაში 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, და 23, დეკემბერს

ყველაფერი საოცარი იაფათა.

თეატრი „მულენ ელექტრიკი“ თეატრი

იუნკრის სასწავლებლის პირდაპირ

დღეს შუადღის 3 საათიდან არაჩვეულებრივი მდიდარი პროგრამით: „იმპერატორის ორდენი“, „კონტრაბანდისტის ქალი“, „გამოფენა პარიზში“ „ლატორეს თავის მოკვლა“, „ბიუროკრატი კომიმხო“, „ველურთა ნაპირი ბანგ-ილი“.

— პროგრამის გარეშე —

საუცხოვო სურათები: „ღმერთას მოწყალება“

უბედური მშობლები: ლისა და ალექსანდრე, გულდამწვარი ძმები გიორგი და მიშა, რძალი სოფიო და ძმისწული საშურა, ბიძა და ბიცოლა ბელაგია და ბეჟან, ბიძაშვილები იასონ და კოწია საბახტარიშვილები, ბიძა და ნათლია სილოვან და ზინა ებრალიძენი, დეიდები ანნა ხოჭოლავასი და ფეოდოსია ტორაძისა გულ-მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ტრაღიკულ გარდაცვალებას დაუვიწყარი ძვირფასის

ილიუშა საბახტარიშვილისას

პანაშვიდები ყოველ დღე შუადღის 5 საათიდან. დასაფლავება დანიშნულია კვირას, 13 დეკემბერს, შუადღის სამ საათზე ქ. ფოთში.

ღრმათ დამწუხრებულნი ნათლიდედ-ნათლიმამა ევდამპია და აპოლონ წულაძენი თავის პატარა გივით აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობთ ტრაღიკულათ გარდაცვალებას მათის ძვირფასი ნათლიის

ილუშა საბახტარიშვილისას.

დაკრძალვა მოხდება ქ. ფოთს 13 დეკემბერს, შუადღის 3 საათზე.

თფილისის სახაზინო თეატრი

პეტერბურგის დრამატიული თეატრის ვ. ფ. კომმისარჟევსკაიას გასტროლები, 6-დან 14 დეკემბრამდის.

ვერა ფეოდოროვნა კომისარჟევსკაიას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

კვირას, 13 დეკემბერს

„ოგნი ივანოვოი ნოჩი“

დრ. 4 მოქმ. ზუდერმან. თარგ. საბლინისა

ორშაბათს, 14 დეკემბერს

„ნორა“

დრამა 3 მოქმ. იბსენის, თარგ. განზენისა.

აღებული ბილეთები გამოდგება.

დირექციის რწმუნებული პ. ა. რუდინი

დასაწყისი საამოს 8 ს

არც ერთ თამბაქოს ქარხანას არ შეუძლია კონკურენცია გაუწიოს ღირსებით ახლათ გამოშვებულ პაპიროსებს:

„Дружба“ И „Товарищъ“

20 ცალი 5 კაპეიკი

ყოველ დღე იყიდება 200,000 ცალი

იყიდება ყველგან.

თამბაქოს ქარხანა ნ. ი. ბოზარჯიანცისა შვილებით.

10—10

მიხაილოვში

(ხაშურში) იყიდება ნახევარი სამი თვალი მაღაზიისა და სარდაფისა საუკეთესო ალაგზე. პირობები გაიგება სადგომში. მ. გოგოტიშვილთან. ფულის ნახევარი მსურველთ შეუძლიათ იდროვონ 6 %.

5—1.

ფერშალი

ლეონტი ბარკალაია

დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფთა მიღება შუადღის 3—6 საათამდე.

ადრესი: გოგოლის ქუჩა № 68.


## თფილისი, 13 დეკემბერი

ბევრ წვრილ კითხვების გადაწყვეტას ფინლიანდიის შესახებ რუსეთის მთავრობა უკვე შეუდგა და ზოგი მათგანი უმაღლესი ბრძანების ძალით სისრულეში მოყვანილ იქნა. რჩება ერთი დიდი სადაო საგანი, სახელდობრ, საერთო საიმპერიო კითხვები, რომლებიც დღეს შეადგენენ ფინლიანდიის სეიმის კომპეტენციას და რომლების წართმევასაც ლამობენ დღევანდელი რეაქციის სულის ჩამდგმელნი და ამ უფლების მინიჭებას უპირებენ სახელმწიფო დუმას და სახელმწიფო საბჭოს. სადაო კითხვის გამოსარკვევათ, როგორც ვიცით, მუშაობდა ეგრეთ წოდებული შერეული კომისია რუსეთის ბიუროკრატებისაგან და ზომიერ ფინლიანდელებისაგან შემდგარი, მაგრამ კომისიის წევრები ერთ გადაწყვეტილებაზე ვერ შეთანხმდენ, რადგანაც რუსეთის ბიუროკრატების და ფინლიანდიელების შეხედულება ამ საგანზე ძირითად განსხვავდებიან: ფინლიანდიელების წარმომადგენელნი ამტკიცებდენ, რომ სადაო კითხვის გადაწყვეტა შეუძლებელია თვით სეიმის დაუკითხავათო, ბიუროკრატები კი ამბობდენ,—სრულიად არაა საჭირო სეიმის შეკითხვა, ეს უფლება ეკუთვნის სახელმწიფო დუმას და სახელმწიფო საბჭოსო. ამ მუხლში შეუთანხმებლობამ გამოიწვია თვით კომისიის გაუქმება და კომისიის უმრავლესობის აზრი (იგულისხმეთ ბიუროკრატების) და უმცირესობის გადაეცა მინისტრთა საბჭოს. ამგვარი კომისიების არსებობა ფინლიანდიის შესახებ ისტორიამ ბევრი იცის, ისიც იცის, რომ კომისიის ნამუშევარი არხივებში გადადიოდა ხოლმე, ხოლო რა მოუვა უკანასკნელი კომისიის ნამუშევარს, ეს კიდევ გამოურკვეველია. უფრო სიფიქრებელია, რომ მინისტრთა საბჭო მას აამოქმედებს და მასზე ააშენებს შესაფერ კანონ-პროექტს, რომელსაც წარუდგენს სახელმწიფო დუმას. ასეთი კანონ-პროექტის სახელმწიფო დუმაში გასვლა ნიშნავს ფინლიანდიის ავტონომიის იმ ხარისხამდის მიყვანას, სადაც იწყება ოლქობრივი თვითმართველობა სამეურნეო და ზოგიერთ კულტურულ საქმეების გადაწყვეტის კომპეტენციით. მერე, როგორ ფიქრობთ, დაუჭერს მხარს მესამე დუმის უმრავლესობა ფინლიანდიის ასეთგვარ უფლების შეკვეცას? ამაში ეჭვიც არავის უნდა ჰქონდეს: ის სავსებით მიემხრობა მთავრობის წინადადებას და ვინ იცის, რომ არ გადააჭარბებს? მესამე დუმაში დასაწყისშივე თავი იჩინა მებრძოლმა ნაციონალიზმმა, რომლის მებაირახტრეთ გამოვიდენ უკიდურესი მემარჯვენეები და ამ გზას გაყვენ ოქტომბრისტებიც უკლებლივ. ამის ილიუსტრაციას, სხვათა შორის, წარმოადგენს ამ ერთი კვირის წინ დუმაში წამოყენებული კითხვა ადგილობრივ ენების ხმარების შესახებ სასამართლოში. აქ, ამ კითხვაში შჩეგლოვიტიდან და მემარჯვენეებიდან მოკიდებული უკანასკნელი ოქტომბრისტებამდის ყველანი შეერთდენ, ყველამ ერთი ენით იწყო ლაპარაკი, ყველა იმის მტკიცებაში იყო, რომ სასამართლოში სახელმწიფო ენა უნდა იყოს ხმარებაში მხოლოდ, ამას მოითხოვს სახელმწიფოებრი იდეაო, ყველა არა რუსმა რუსული უნდა იცოდესო და მართლ-მსაჯულებაც ამ ენაზე უნდა სწარმოებდესო. „რუსეთი რუსეთისთვისო“ გაიძახოდენ ისინი. აი, ამ პირების ხელში ჩავარდება გადასაწყვეტათ ფინლიანდიის საკითხიც და რასაკვირველია, მებრძოლი ნაციონალიზმის წარმომადგენლები შეეცდებიან ფინლიანდელების უფლებების შეკვეცას. ამ საფრთხეს ფინლიანდიელებს ვერ ააცილებს ვერც საერთაშორისო დამოკიდებულებანი, რადგანაც დღევანდელი რუსეთის ბიუროკრატია ცხოვრობს მხოლოდ დღევანდელი დღით და მას სრულიათაც არ აფიქრებს რუსეთის მომავალი. „ჩვენ მერე წარღვნაო“, აი პრინციპი, რომელიც მას გაუხდია სახელმძღვანელოთ. თუ ფინლიანდიას ასეთი პერსპექტივა უდგია თვალ წინ, მაშინ რაღა ითქმის სხვა ერებზე, რომლებიც რუსეთის სახელმწიფოში შედიან და რომლებსაც სურთ თავის ენის საშუალებით აღიზარდონ სკოლაში, საზოგადოებრივ და სახელმწიფებრივ დაწესებულებებში განავითარონ თავის ლიტერატურა და სხვა?!. მათი ბედი ფინლიანდიელებზე უარესია, მაგრამ მეორე მხრით, ერთი რამ კი უნდა ახსოვდეთ დღევანდელ კაცი-ჭამიებს: „ვინც ქარს სთესს, ის ქარიშხალს მოიმკის“.

## სახელმწიფო დუმა

(სააგენტოს დეპეშებიდან.)

11 დეკემბერი.

სხდომა გაიხსნა 11 საათსა და 22 წუთზე. თავმჯდომარეობს შიდლოვსკი. დუმას მოხსენდა საქმეები. მათ რიცხვში დუმის 38 წევრის საკანონმდებლო წინადადება ნება მიეცეს უმაღლეს განათლების ქალებს დაიჭირონ სახალხო სკოლების ინსპექტორების ადგილები, დუმის 41 წევრის წინადადება—გადადებულ იქნას დამატებით 4 მილიონი მანეთი პირველდაწყებითი სკოლების საჭიროებისათვის და 40 წევრის—დუმიდან დროებით გაძევებულ დეპუტატს გამოერიცხოს ჯამაგირი. შემდეგ დუმამ განაგრძო ქალაქის უძრავ მამულებზე გადასახადების შესახებ კანონ-პროექტის განხილვა. ლაპარაკობენ პროცენკო, ფინანსთა მინისტრის ამხანაგი, სიკონოვი, პეტროვსკი, ივანოვი და სხვები. პროცენკოს და სინკონის შესწორება შეაქვთ მეცხრე მუხლში. მეცხრე მუხლს დუმა ღებულობს პროცენკოს შესწორებით. შემდეგ ღებულობენ 10, 11, 12, 13 და 14 მუხლებს. შემდეგ ღებულობენ 15—32 მუხლამდე. სხდომა სწყდება. სხდომის განახლებისას უკამათოთ ღებულობენ დანარჩენ მუხლებს. კამათს იწვევს მეცამეტე მუხლი. ლაპარაკობს შჩეპკინი. დაგვიანების გამო ორატორი ვერ ათავებს თავის სიტყვას და კამათი სწყდება. შემდეგ ამისა გოდნევი მოხსენებას აკეთებს იმ კანონ-პროექტზე, რომლითაც მთავრობა თხოულობს გადაიდოს დამატებითი თანხა 50 გუბერნიის საგუბერნიო სამმართველოების კანცელარიისთვის. კანონ-პროექტი წარმოდგენილია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ. ამ კანონ-პროექტით თხოულობენ გადაიდოს საჭირო თანხა ადგილობრივ საგუბერნიო სამმართველოების მიხედვით მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. ამისთვის საჭიროა 1,116,000 მანეთი. ორატორი აცხადებს, რომ კომისიამ განიხილა ეს კანონ-პროექტი და უარყო, რადგან საგუბერნიო სამმართველოთა კანცელიარიის მოხელეთა და გუბერნატორების ჯამაგირების გადიდება ნაადრევია, რადგან ამ დაწესებულებათა რეფორმები ჯერ არ მომხდარა, სამინისტროს კისურს ისევ ის ძველი წესები დასტოვოს იქ. კომისია წინადადებას აძლევს დუმას უარყოს კანონ-პროექტი. ვრცელ სიტყვას ამბობს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სტოლიპინი. ის აღნიშნავს მოხელეთა ცუდ მდგომარეობას და სთხოვს დუმას მიიღოს ეს კანონ-პროექტი. ბერეზოვსკი მემარჯვენეთა სახელით აცხადებს, რომ არ ეთანხმება კომისიას და მხარს უჭერს კანონ-პროექტს. პეტროვი მესამე შრომის ჯგუფის სახელით აცხადებს, რომ უარს ყოფს კანონ-პროექტს. კუზნეცოვი ს.-დემოკრატიულ ფრაქციის სახელით ამბობს, რომ ს.-დემოკრატები, როგორც მუშათა კლასის წარმომადგენელნი ხმას არ მისცემენ კანონ-პროექტს, რადგან მის სისრულეში მოსაყვანათ გლეხებს და მუშებს ახდევინებენ უკანასკნელ გროშებს, ისინი კი მშიერმწყურვალნი სულს ღაფავენ. მთავრობას—დასასრულ ამბობს ორატორი—შეუძლია ეს ხარჯები დააკმაყოფილოს საიდუმლო ფონდიდან, რომლიდანაც აზეფებზე და ვოსკრესენსკებზე იხარჯება ფულები (ხმაურობა: თავმჯდომარე ზარს აწკარუნებს). დასასრულ კენჭის ყრით კანონ-პროექტს ღებულობენ ცოტა შესწორებებით. სხდომა იხურება.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 დეკემბერი.

### სპარსეთი

**თეირანი.** ნეჯეფის მუშტეხიდებმა დეპეშით მოითხოვეს, რომ მეჯლისში ხუთი წარმომადგენელი იქნას არჩეული სამღვდელოებიდან, მოითხოვენ სენატის დაწესებასაც. სომხები თხოულობენ სამი სომეხი დეპუტატის არჩევას მეჯლისში. მეჯლისმა დაადგინა შეუდგენ სენატის წესდების შედგენას.

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** კურბან-ბაირამის დღესასწაულის გამო სულთანმა ყველა მთავარი მეჩეთები ნახა. ხალხი ყველგან ალტაცებით ეგებებოდა.

### საზღვარ-გარეთ

**ათინა.** სამხედრო მინისტრი სამსახურიდან გადადგა. სამხედრო სამინისტროს დროებითი ზედამხედველობა მინისტრ-პრეზიდენტმა იკისრა. პალატა განაახლებს სხდომებს. მეფემ მოაწერა დეკრეტს ზორბასის გენერლის ხარისხის მიღებაზე.

**პარიზი.** სენატმა დაამტკიცა დეპუტატების პალატის მიერ მოწონებული საფრანგეთ-შვეიცარიის კონვენცია სიმპლონის გვირაბისაკენ მიმავალ გზების შესახებ.

**სენტ-ლუი.** ილლინოისის შტატში გერრინგის ახლო მაღაროებში აფეთქება მოხდა, რომელმაც ორმოცდა ათამდე მუშა დაიტანა. ჯერ-ჯერობით იპოვეს ცხრა გვამი.

**ვაშინგტონი.** ამერიკელი ელჩი ბლიუფილდეაიდან იტყობინება, რომ რამთან ახლოს ნიკარაგუაში ესტრადასა და ზელაიის ჯარებ შორის შეტაკების დროს მოკვდა 900 კაცი. ომისათვის გამოუსადეგარ 2000 (?) ჯარი დიდ ნაკლებულებას განიცდის.

**კანეია.** დაიწყო პალატის სესია. დროებითი ადმინისტრატიული კომისია სამსახურიდან გადადგა, რომელიც პალატამაც დაამტკიცა. პალატაში შეიტანეს არჩევნების ახალ სისტემის კანონპროექტი.

**ბარცელონა.** მთელ მხარეში საშინელი ქარ-ბუქია. დიდი კოკისპირული წვიმა მოდის გაფუჭდა ტელეგრაფი. მატარებლების მოძრაობა შეწყდა. დაინგრა 50 სახლი, დაიხრჩო 4 კაცი.

**ბერლინი.** კალკუტიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ აღმოსავლეთ ბენგალიაში ავაზაკები ღამით თავს ესხმიან მცხოვრებათ. სოფლის მცხოვრებათ თავზარი დაეცათ, პოლიცია ვერას ახერხებს.

**ტოკიო.** გაიხსნა პარლამენტის სესია. იმპერატორმა სეფე სიტყვაში აღნიშნა სხვა სახელმწიფოებთან კარგი განწყობილება და აღმოსავლეთში მშვიდობიანობის განმტკიცება.

### რუსეთი

**სევასტოპოლი.** საზღვაო სასამართლომ გამოქცეულ მეზღვაურს, რომელიც 1905 წელს შავი ზღვის ფლოტის შეიარაღებულ აჯანყებაში იღებდა მონაწილეობას, თხუთმეტი წლის კატორღა გადაუწყვიტა.

**პეტერბურგი.** მთავარმა სამხედრო სასამართლომ უყურადღებოთ დასტოვა ბერლინის უნივერსიტეტის სტუდენტ სრენოვის საქმე, რომელსაც მოსკოვის სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა არყის დუქანზე თავდასხმისათვის.

**პეტერბურგი.** მთავარმა სამხედრო სასამართლომ გააუქმა გედალია ხანის საქმე, რომელსაც ვარშავის სამხედრო სასამართლომ წლინახევრით ტუსაღთა რაზმში გაგზავნა მიუსაჯა. მას აბრალებდენ, რომ გერმანიის აგენტს საიდუმლო დოკუმენტები გადასცა.

**თელავი.** ღამით სოფელ კურდღელაურში პოლიციამ ალყა შემოარტყა ავაზაკებს. ასტყდა სროლა, რომლის დროს მოკლეს დარაჯი და ერთი ავაზაკი.

### ხ ო ლ ე რ ა.

**იალტა.** დეკემბერში ავათ გახდა 2. თავიდანვე სულ ავათ გახდა 48, მოკვდა 34.

# კაპიტალის წარმოშობა

(დასასრული).

### ჯვაროსნული ომები.

თითქმის მთელმა ევროპამ მიიღო მონაწილეობა ჯვაროსნულ ომებში. ვინ იყო მეთაური ჯვაროსნულ ომებისა? კათოლიკეთა სამღვდელოება და ჩრდილო იტალიის ქალაქები (გენუა, ვენეცია, პიზა და სხ.) რამ შეანძრია ევროპის ერები, რა ძალამ გადატყორცნა ისინი მცირე აზიაში, რა მიზეზებმა გამოიწვია ჯვაროსნული ომები?*) მცირე აზია და ბიზანტია იმ დროს მდიდარი ქვეყნები იყო და მასთან პოლიტიკურათ სუსტი. აღმოსავლეთიდან ამ ქვეყნებს უკვე მემოესია ოსმალთა ერები. ამ ქვეყნების სიმდიდრე ხელში უვარდება ოსმალებს. საჭირო იყო ოსმალთა მოძრაობის შეჩერება ან მცირე აზიის სიმდიდრის ხელში ჩაგდება. აი მიზეზი ჯვაროსნულ ომებისა. ქრისტეს საფლავის განთავისუფლება კი იყო საშუალება, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო ზემო დასახელებულ მიზნისთვის. მართალია, ქრისტეს საფლავის განთავისუფლება მიზნათ გამოყავდათ სულიერ მამებს თავის ქადაგებაში ჯვაროსნულ ომებისა—მაგრამ ეს იმისთვის, რომ სამღვდელოებას ანგარიში უნდა გაეწია რელიგიოზურ გრძნობებისთვის ევროპის ერებისა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმ დროს ხალხი უფრო მორწმუნე იყო, ვიდრე დღეს. ქრისტეს საფლავი ურწმუნოებს ჩაუვარდა ხელში. ამ გვარმა ხმაურობამ ფეხზედ დააყენა მთელი მორწმუნე ევროპა. ურწმუნოთათვის მზათ იყო მეორე დევიზი:—მცირე აზია მდიდარია და ეს სიმდიდრე ხელში უვარდება ოსმალეთს—მაშ, მცირე აზიისკენ და რაც შეიძლება ჩქარა.—როგორც ვიცით, ჯვაროსნული ომები გრძელდება რამდენიმე საუკუნე. მთელი მცირე აზიის სიმდიდრე გადმოვიდა ევროპიელთა ხელში (უდიდესი წილი ამ ნადავლში ხვდა ეკკლესიას და ჩრდილო იტალიის ქალაქებს—აქედან საარაკო სიმდიდრე ეკკლესიის და ამ ქალაქების საშუალო საუკუნოებში; აოხრებულ, უდაბნოთ ქცეულ მცირე აზიას დაეპატრონენ ოსმალები). როდესაც ევროპიელები პირველათ შემოვიდენ მცირე აზიაში, ეს ქვეყნები ედემს წააგავდა. პალესტინა და სირია, სადაც ხუთი საუკუნის განმავლობაში არაბთა კულტურა მუშაობდა, სამოთხეს დაემზგავსა ჯვაროსანთა თანამედროვენი ვერ პოულობდენ სიტყვებს ამ ქვეყნების სიმშვენიერის და სიმდიდრის ასაწერათ. ბაღებში ტროპოლისა და ტირისა ყვაოდა სამხრეთის ხეხილები: ლიმონი, ფორთოხალი, ნუში და საუცხოვო ნუშის ზეთი. მოყავდათ შაქრის ლერწამი და ბამბა. მისდევენ აბრეშუმის მოშენებას. მოყავდათ აგრეთვე სხვადასხვა სალებავი მცენარეები: ინდიგო, მარენა.

ეგეთივე მდიდარი იყო მატერიკი მცირე აზიისა და კუნძულები ეგეის ზღვისა. როდესაც იტალიელები შემოვიდენ აქ—ეს ქვეყნები ანცვიფრებდენ ადამიანს თავის სიმდიდრით. თვალ-მარგალიტი მათ შორის იყო კაპრი, კრიტი და ხიოსი, უკანასკნელი შესანიშნავია თავის აუარებელ ზეთის ხილის ბაღებით, მდიდარია აგთეთვე ღვინით, თუთის და ლეღვის ხეებით. რაც შეეხება კაპრს, ეს ქვეყანა მდიდარია მარილის მადანით, ღვინით, ბამბით, ინდიგოთი და ყველაზე უფრო შაქრით.

ყველაზე უფრო შესანიშნავი ეს ქვეყნები იყო მით, რომ მცხოვრებლები შეჩვეული იყვენ სხვადასხვა დარგის მრეწველობას. ამ უკანასკნელმა გარემოებამ ხელი შეუწყო იტალიელებს და მათ ფართოთ მოაწყვეს ყოველ გვარი წარმოება. მათ შორის უშესანიშნავესია აბრეშუმეულობის წარმოება. ეს უკანასკნელი არსებობდა ანტიოქიაში, ტრიპოლში და ტირაში.

მთელი მცირე აზია თითქმის მონობის ... ... იტალიელთა ბატონობის ქვეშ. დაპყრობილ ერებს რისთვის მოერიდებოდა თავ-გასული იტალიელები! მართალია, მძიმე სამუშაო ამცირებდა მუშათა ხელს, მაგრამ სამაგიეროთ, საშუალო აზია და აფრიკა იძლეოდა მონებს. მონებით ვაჭრობა ასწორებდა შედეგს აუტანელ ექსპლოატაციისა: დაპყრობილ მუშების დაპყრობის შემდეგ იტალიელებს საშუალება ეძლეოდა ჩალის ფასათ შეეძინათ მონები.

წარმოება, აგებული ამ გვარ უმოწყალო ექსპლოატაციაზედ, იძლეოდა კოლოსალურ სარგებელს. გაანადგურეს რა დაპყრობილი ერები ბარბაროსებმა—მონები შემოზიდეს თავის კოლინიტში და უმოწყალოთ ეწირებოდა ადამიანის სიცოცხლე მოსაგების მოლოხს. მცირე აზიის განადგურებამ გაამდიდრა იტალიის ქალაქები.

როდესაც მცირე აზიაში შემოვიდენ ევროპიელნი, ეს ქვეყნები ედემს წააგავდა—როდესაც გამოვიდენ ევროპიელ-ბარბაროსნი ამ ქვეყნებიდან.—მცირე აზია წარმოადგენდა უდაბნოს: ყოველგან და ყოველივეს ესვა ბეჭედი განადგურების და აოხრების.

1500 წ-დან მცირე აზიის ბედი ეწვია ამერიკას.

კაპიტალისტურ ევროპას შეუძლია თქვას:—ჩვენ შევიქენით მდიდარი იმისთვის, რომ მთელი ერები ამოიხოცენ ჩვენთვის, მთელი ნაწილი ქვეყნისა უდაბნოთ იქცა და აოხრდა.

მ. ზეგნელი.

P. S. ამ მოკლე წერილში ჩვენ შევეცადეთ აგვეხსნა ეგრეთ წოდებული წინასწარი მოგროვება (Первоначальное накопленіе.)

უნდა შევნიშნო აგრეთვე—წინასწარ მოგროვების მხოლოდ ერთი მხარე მაქვს განხილული. ეს მხარეა ეგრეთ წოდებული ძალდატანებითი მხარე წინასწარი მოგროვებისა — მ. ზ.

*) შეუძლებელია ამ მოკლე წერილში სავსებით განვიხილოთ მიზეზები ჯვაროსნულ ომებისა.—ვეცდებით ეს კითხვა სავსებით ცალკე წერილში განვიხილოთ.

# ახალი ამბები

**მკვლელობა.** გუშინ, 12 დეკემბერს, დღის 10 საათზე „ფიქრის გორას“ მიდამოზე, თავის ბინის მახლობლათ, ვიღაც ბოროტ-მოქმედმა რევოლვერის ტყვიით ოთხ ადგილას დასჭრა ზურგში ვერის ბაღის „ფანტაზიის“ მეპატრონე მ. მხის თარიანცი, რომელიც იქვე გარდაიცვალა. მოკლული მიხეილის საავათმყოფოში წაასვენეს.

✦ **ქ. შ. წ. კ. გამავრცელ. საზ. წლიური კრება.** მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს სამეურნეო ბანკში მოხდება წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების საზოგადო კრება.

✦ **ქალაქის გამგეობის წევრის** ნ. პ. კოკჩაევის ადგილას ახალი წევრის არჩევა 21 დეკემბერს მოხდება.

✦ **ქალაქის საბჭოს** 14 დეკემბრის სხდომაზე, სხვათა შორის, განხილულ იქნება საკითხი ქალთა უმაღლეს კურსების დახმარების შესახებ.

✦ **მე-7 უბნის სახაზინო მიწების** მოიჯარადრეებმა თხოვნით მიმართეს სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს, რათა ჩამოერთვას იჯარით აღებული სახაზინო მიწები იმ პირთ, რომელნიც ვალდებულნი იყვენ ამ მიწებზე შენობები აეგოთ და ამ დრომდე ეს პირობა არ შეუსრულებიათ.

✦ **საბავშვო კითხვები.** დღეს, 13 დეკემბერს, ავჭალის აუდიტორიაში დღის 11 საათიდან მოხდება საბავშვო კითხვები; ამასთანავე აჩვენებენ ბუნდოვან სურათებს. შესვლა უფასოა.

✦ **ჩხრეკა და იარაღის აღმოჩენა.** 12 დეკემბერს, ბასეინის ქუჩაზე პოლიციამ გაჩხრიკა თფილისის მაზრის მცხოვრების ნ. ა. ტიგიშვილის ბინა. ჩხრეკის დროს სამზარეულოში აღმოაჩინეს ტყვიები, რევოლვერი და სხვ. თვით ბინის მეპატრონე ნ. ტიგიშვილი ამ დროს ბინაზე არ იყო. შეიპყრეს მისი ძმა ა. ტიგიშვილი, 18 წ.

✦ **პოლიცმეისტერმა განკარგულება** მოახდინა, რათა პოლიციელებმა ზომები მიიღონ თელავის მაზრის მცხოვრების მ. ლ. ნებუნიშვილის მოსაძებნათ, რომელიც მეწაღე გ. დედუკოვთან მუშაობდა და ეს რამდენიმე დღეა, სადღაც წასულა და ჯერ არ დაბრუნებულა.

✦ **სამსახურიდან დათხოვა.** სამართალში მიცემის გამო, სამსახურიდან დათხოვილნი არიან ქალაქ თფ. პოლიციის ზედამხედველნი პ. სოლომონენკო და თეთრაძე.

✦ **ვ. ფ. კომისარჟევსკაიას** წარმოდგენის გამო, რომელიც დღეს 12 საათზე გაიმართება სახალხო სახლში დაკლებულ ფასებში, იაროშჩენკოსა და ფედოროვის ლექციები შემდეგისათვის გადაიდო. წარმოდგენილი იქნება ოსტროვსკის პიესა. «дикарка».

✦ **ქალაქების საგუბერ. საქმეთა საკრებულოს სხდომა** დანიშნულია 16 დეკემბერს. კრება შემდეგ კითხვებს გაარჩევს: 1) თფილისის სახელოსნო სასწავლებლის მდივანის, მელიქ-შახნაზაროვის სამართალში მიცემის საკითხი სამსახურის დროს ბოროტ-მოქმედების ჩადენისათვის. საკითხს, ხმოსან ნ. ელიავას ხმოსნობიდან გადაყენების შესახებ. სოლოლაკში გვირაბის გაყვანისა და ქალაქის მიერ შედგენილ სავალდებულო დადგენილების საკითხს მოსამსახურეთა დასვენების შესახებ.

✦ **თფ. მუსულმანთა საზოგადოებამ** ქალაქის გამგეობას აცნობა, რომ ადგილი, რომელიც ქალაქმა შესწირა მას საქალაქო სასწავლებლისათვის, გამოსადეგი არ არის ხსენებულ საჭიროებისათვის. ქალაქის გამგეობა ხელ-ახლა ადგილის ძებნას შეუდგა.

✦ **უსახ. საზოგადოებასთან ხელშეკ.** ქალაქის გამგეობამ თავის იურისკონსულტს დაავალა გამოიკვლიოს, თუ რამდენათ მართალია უსახელო საზოგადოება ხელ-შეკრულების მიხედვით, რომ ტრამვაის მგზავრებს გადასაჯდომ ბილეთების უფლებას ართმევსო.

✦ **ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა** მომავალ გაზაფხულიდან შეუდგეს ელექტრონის სადგურისა და ნავთლუღის სასაკლაო შენობის აგებას. ელექტრონის სადგურის ღირებულება 500,000 მ. არის გამოანგარიშებული.

✦ **პროგიმნაზია თელავში.** თფილისის გუბერნატორმა აცნობა თელავის და თიანეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლთ, რომ ნამესტნიკმა კეთილ ინება ხსენებულ თავად-აზნაურთა შუამდგომლობის დაკმაყოფილება თელავში 4-კლასიან სავაჟო პროგიმნაზიის დაარსების შესახებ იმ პირობით კი, რომ სასწავლებლის ყოველ

# ზ ღ ვ ა.

რა მშვენიერი, რა საუცხოვო სანახავია ზღვა. რა დიდებულს, რა თვალწარმტაც სურათს წარმოადგენს ის, როდესაც მას უახლოვდებით. ლურჯათ მობიბინე, ის შორიდანვე სავსებით იჯაჭვავს მთელ თქვენს ყურადღებას, მთელს გულს და გონებას. თვალებ ფართეთ დაღებული, სულ-გაკმენდილი უახლოვდებით მას და აგერ თქვენ თვალწინ დიდებულათ იშლება უზარმაზარ სივრცეზე გადაჭიმული, თვალ-გადუვლები, ცოცხალი და მოძრავი ლურჯი სარკე, რომელსაც ზევიდან ლურჯათვე მოკამკამე ცის კამარა გადაჰხურვია. შორს, შორს ფერ-მკრთალი ცის კიდურები მაზე სვეტებსავით დაყრდნობილან, დაყუდებულან, რომელთაც წყნარათ მიმოტორტმანე ზღვა თავის პატარა ტალღებით ნაზათ ეალერსება, ელამუნება. აგერ თქვენ ფეხთანაც ქვიშაზე ცელქი ტალღები თქვენსკენ მოცოცავენ, ერთი-მეორეს მოსდევენ, მოერეკებიან და უხილავათ აგორებულნი, უხილავათვე სადღაც ინთქებიან, იკარგებიან.

ზერელე შეხედვით გეგონებათ, რომ ზღვა უძრავათ გაჩერებული, დაყურსებულია, რაღაცა იდუმალებით გარემოცული. მაგრამ არა. აბა კარგათ, კარგათ დააკვირდით. მთელი ზღვა, მთელი უზარმაზარი ზღვა თავის კალაპოტში განუწყვეტლივ ბრუნავს, ბრუნავს, ტოკავს, ბობოქრობს. მის არსებაში, მის წიაღში ჩამარხული უჩინარი ძალები მას მოუსვენრათ ამოძრავებენ, ატრიალებენ. ურიცხვ ტალღათა სრბოლა, რომლებიც მაზე გამუდმებით დაცოცავენ, დასრიალებენ, მკვდარ სტიქიონს სიცოცხლის ელფერს აძლევენ, აბუტბუტებენ, ალაპარაკებენ.

ტალღათა შორის, მის კალთებში და ფსკერზე მოუსვენრათ დასრიალობენ აუარებელი ცოცხალი არსებანი, რომლებიც დაუდგრომლათ ებრძვიან ზღვას, ებრძვიან ერთი-მეორეს, ებრძვიან იმისათვის, რომ დედა—სტიქიონისაგან ანთებული მათი სიცოცხლე უდროოთ არ ჩაქრეს, არ შთაინთქას. მთელი ზღვა არსებობისათვის ბრძოლის ასპარეზათ გადაქცეულა. მოძრაობს, ბრუნავს ზღვა და განუწყვეტლივ ამოძრავებს, აბრძოლებს და ერთი-მეორეს ახლის თვის კალთებში გახვეულ შვილებს, აუარებელ ცოცხალ არსებათ.

სდგეხართ ზღვის პირას და დასცქერით ამ დიად სურათს ბუნებისას, რომელიც აცხოველებს თქვენს ფრთა-შესხმულ ოცნებას. თქვენი გონების თვალწინ აი ამ ზღვასავით თვალ-წარმტაცათ გადაშლილა კაცობრიობის ცხოვრებაც. თქვენს მოხიბლულ ოცნებას ისიც ასეთივე ფერადებით შემკული ეჩვენება შორიდან უფერული, აი ამ სტიქიონსავით უგულო და ცივი ცხოვრება ასევე ბიბინებს, ირყევა, მღელვარებს. ცხოვრების ზღვაზე აგორებული ტალღები ერთი-მეორეს განუწყვეტლივ მისდევენ, მიგორავენ და უჩინრათ დაბადებულნი ცხოვრების უფსკრულში შეუმჩნევლათ იმარხებიან, ინთქებიან.

ზღვა-ცხოვრებაც განუწყვეტლივ ბრუნავს, ტოკავს და მოძრაობს. მის წიაღში ღრმათ ჩამარხული ძალები მასაც მოუსვენრათ აძრავებენ, ამღელვარებენ. ცხოვრების ურიცხვ ტალღათა სრბოლა, მათი შხლა-შემოხლა ამ ზღვასაც ახმაურებენ, ალაპარაკებენ.

ცხოვრების ზღვაში, მისი სიღრმის სხვადასხვა საფეხურებზე მოთავსებული ადამიანებიც მოუსვენრათ დაფუსფუსებენ. ისინიც ებრძვიან ზღვა-ცხოვრებას, სამკვდრო-სასიცოცხლოთ ერთი-მეორესაც იმისათვის, რომ განგებისაგან ბუნების ყრუ სიბნელეში წამით ანთებული მათი სიცოცხლე წამზე ადრე არ ჩაქრეს, არ დანელდეს. განუწყვეტლივ მოძრაობს, ბრუნავს და ირყევა მთელი ზღვა-ცხოვრებაც და თავისთან ერთად განუწყვეტლივ ამოძრავებს, სიცოცხლისათვის აბრძოლებს და ახლის ერთი-მეორეს უმწეო, სუსტ ადამიანებს, რომლებსაც ცხოვრების მოლიპულ და დაუდგრომელ საფეხურებზე ფეხი მკვიდრათ ვერ მოუმაგრებიათ, რომლებიც ერთი-მეორეს სწიხლავენ, ფეხქვეშ ნიადაგს უთხრიან, სამარეს უმზადებენ და ამნაირათ, ერთი-მეორის გაუბედურებით ბედნიერების ლანდს ეპოტინებიან...

სდგეხართ ზღვის პირას და გონების მომხიბლავ სურათებით შეპყრობილნი, სტკბებით; გულიც აი ამ ზღვასავით სიამოვნებით გიტოკავთ.

...მაგრამ აგერ ცა მოპირქუშდა, ჩამოიბურა; ზღვა გაშავდა; მოულოდნელათ ის მძლავრათ შეტოკდა, შეირყა, მრისხანეთ აქუხდა, აგრგვინდა, აღრიალდა. მას გრიგალი შემოერტყა. საზარლათ შფოთავს, მღელვარობს და ღრიანცელობს ზღვა. მის გულიდან ამოცურებული, მთებსავით ამართული, ფაფარაყრილი ტალღები კიდით-კიდემდე მრისხანეთ დაგორავენ. კლდის ნაპრალებს, ერთი-მეორეს ისინი შეუპოვრათ ასკდებიან, ეხეთქებიან და საშინელის ღრიანცელით სადღაც ზღვის უფსკრულში ინთქებიან, ინთქებიან იმისათვის, რომ კვლავ უფრო მრისხანეთ ამოიჭრენ, აგრგვინდენ, გულ-შემზარავათ აღრიალდენ.

რაღაცა იდუმალის შიშით შეპყრობილი, შეძრწუნებული უცქერით აღშფოთებულ სტიქიონს და ძალა-უნებურათ თქვენ თვალწინ გეხატებათ ასეთივე სურათი მოულოდნელათ ამღელვარებულ ცხოვრებისა.

დრო-გამოშვებით ასევე ღელდება ზღვა-ცხოვრებაც, რომელიც აი, ამ ზღვასავით ზვირთ ზვირთებზე ისვრის, ჭექავს და გრგვინავს. საშინლათ ირყევა ზღვა-ცხოვრება და არყევს მის ყველა საფეხურებზე დაყრდნობილ ადამიანებს, რომლებიც გამწარებულნი ერთი-მეორეს სამკვდრო სასიცოცხლოთ ეტაკებიან. მრავლათ ინგრევა, ირღვევა მათი საცხოვრებელი ბუდეები, სწრაფათ ცვივიან მაღლიდან დაბლა, სწრაფათ არბიან ზოგნი ცხოვრების კიბეზე იმისათვის, რომ კვლავ ძირს დაყირავდენ... ქვეწარმავალთა, ნაძირალთა ლეგიონი ამღვრეულ ზღვაში მაღლა ამოყურყუმალავებულნი გამწარებით იკბინებიან იშხამებიან.

მაგრამ აგერ მქუხარე ტალღებზე მრავლათ გაბნეული მარგალიტებიც დაგოგმანობენ, დაანათებენ. საყვარლათ ბრწყინავენ ისინი და ყველას და ყველაფერს სინათლისაკენ, სიყვარულისაკენ ეწევიან, ეზიდებიან...

...ზღვა დაცხრა, დაშოშმინდა. უკუქცეული, დამარცხებული ტალღები ზღვის უფსკრულში ჩაბრუნდენ, ჩატრიალდენ; ტალახი, ჭუჭყი მან ფსკერზე დაილექა, დაიძირა, რომელმაც თან საყვარელი მარგალიტებიც ჩაიტანა და ჩამარხა.

დიახ, დაცხრა, დაცხრა ცხოვრების ზღვა; ტალახთან ერთათ მრავალი საუცხოვო მარგალიტიც უფსკრულათ შთაინთქა, ჩაიმარხა... დაცხრა, დაშოშმინდა ზღვა, მაგრამ იმისათვის, რომ ის მომავალში კვლავ უფრო საზარლათ აქუხდეს, არუხრუხდეს, რომ უფრო მრისხანეთ აგორებული დევ-გმირი, ძლევა-მოსილი ტალღები აღრიანცელდენ და ძირს ფსკერზე მრავლათ ჩაფლული უფრო განსპეტაკებული მარგალიტები ააგოროს, აალიცლიცოს... დაცხრა, დაყუჩდა ზღვა, იმისათვის, რომ მომავალში

კვლავ აღელდეს, აღშფოთდეს
გახდეს მრისხანეთ აღქაფებული
და გადარეცხოს რაც ქვეყანაზე
ბოროტებაა დამყარებული...

ს. ზართუნაშვილი

ხარჯს თვით თავადაზნაურობა იკისრებს.

✦ **ახალციხის მაზრიდან** გვატყობინებენ, რომ იქ ს. ფამალაში საქონლის ჭირი გაჩენილა.

✦ **აბანო მდ. მტკვარზე.** ქალაქის გამგეობამ ქალაქის ინჟინერს, ი. კოგნოვიცკის მიანდო შეადგინოს აბანოს გეგმა. აბანო მდინარე მტკვარზე უნდა აიგოს.

✦ **ჩამოხრჩობა.** ბაქოში 9 დეკემბერს სისრულეში მიოყვანეს სამხედრო სასამართლოს დადგენილება. ჩამოახრჩვეს სირაძე და მაღლაკელიძე, რომელთაც გასულ წლის 17 დეკემბერს ლენქორანის ფოსტის გაძარცვა ბრალდებოდათ.

✦ **ჟურნალი „სხივის“ 1 ნომერი** გამოვიდა დღეს შემდეგის შინაარსით: „სხივი“—ლექსი გ. რუხაძისა.—ბეჟუკას ხვედრი, მოთხ. ლალიონისა.—სიცოცხლის სხივს, ლექსი იასამანისა.—წუხელ დამით წაიყვანეს ეტიუდი ფ. რუშაველისა.—ზამთარი ლექსი ბ. გლასი—სალიტერატურო შენიშვნები, ივ. გომართელისა.—კითხვები, ლექსი ვ. მალაქიაშვილისა.—შავი მიხა, მოთხ. ირეთელისა.—ობლათ შთენილი, ლექსი დ. თურდოსპირელისა.—დედა, ს. ჰართენაშვილისა.—რუსულ ახალი მწერლობის ისტორია კოგანისა, თარგმანი ი—სა.

—

**შეცდომის გასწორება.** ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში, მეორე გვერდზე, პირველი სვეტის მე-23-მე სტრიქონში („პრესა“) ნათქვამია: „მემარცხენეთა უმართებულო საქციელს“, უნდა იყოს: „მემარჯვენეთა უმართებულო საქციელს“ და სხვ.

# წერილები სპარსეთიდან

### 18

### ქალაქი თეირანი

14 ოქტომბერს დეპეშა მოვიდა თავრიზიდან: სათარხანს ალყა შემოარტყა რახიმ-ხანმა, მისაშველაბლათ გავიდა ბაგირ-ხანი და ხვალ გავა საიდ-მამალიკი ჯარითო... საღამოს კრება მოხდა მუჯაიდების, რომელზედაც მრავალი სიტყვა წარმოითქვა. განკარგულებას იძლევა სამხედრო მინისტრის თანაშემწე...

7 საათზე ვინახულეთ თალი-ზადე. აქ შეკრებილიყვნენ: თალიზადე, რასულ-ზადე, ეიდარხანი, ერთი გარეშე პირი და ექვსი დეპუტატი უმთავრესათ ადერბეიჯანიდან. აქ თალიზადემ გააცნო მათ დემოკრატიული ორგანიზაციის საჭიროება და წაუკითხა შედგენილი სახელმძღვანელო გეგმა. კრება იყო სერიოზული და დამსწრეთ საქმიანობა ეტყობოდათ... კრება დანიშნეს ყოველ დღე 5 საათზე საღ. მეორე დღეს ხუთ საათზე კვლავ შეიკრიბენ თალიზადესთან ზემოხსენებული პირნი. თალიზადემ მოხსენება გაუკეთა თავის ამხანაგებს: არდებილი ალყა შემორტყმულია, სათარხანის მისაშველებლათ წამოსული ჰაფიზ-ეფენდი—აბაშიძე ზუნუს-ალამთარიდან რეაქციონერებმა შეიპყრეს და გაძარცვის შემდეგ გაუშვეს თავის ჯარით. შახსევანებში გადაცმული სხვა სახელმწიფოს ჯარის კაცნი არიან.. პროვინციებიდან არა სასიამოვნო ამბები მოდის—სხვა სახელმწიფოები ჩვენ შინაურ საქმეებში ამდენ ხანს ჩუმათ ერეოდენ, ეხლა ოფიციალურათ იმუქრებიან.. ჩვენმა მთავრობამ გადასწყვიტა ჯარი გაგზავნოს აქედან, მარა რაღაც ყოყმანი მაგათაც ეტყობათ.. გადაუწყვეტიათ ეფრემის გაგზავნა და საჭიროა მის ალაგას კანდიდატი ჩვენ წავაყენოთ და გავიყვანოთ, ჩვენ ფაქტიურათ სახელმწიფოს სათავეში უნდა ჩავუდგეთო...

წამოაყენეს სამი კანდიდატი პოლიცმეისტერის მოადგილე და ხმის უმრავლესობით მიიღეს ხელის აწევით...

8 საათზე კრება დაიშალა და თალიზადე შინაგან მინისტრთან წავიდა საჩქაროთ...

16 ოქტომბერს მთელი ქალაქი მოძრაობს.. შეიარაღებული მუჯაიდები ცხენებით დადიან... ვიყავი ეფრემთან, რომელმაც ის აზრი გამოსთქვა, რომ დღეს სპარსეთში არავითარი პარტია არ უნდა არსებობდესო!...

4 საათზე მინისტრის თანაშემწესთან ვიყავით... მის ოთახებს ალაგებენ, თითონ საომრათ ემზადება, ჰკრავენ ხალიჩებს, აწყობენ ყუთებში საცვლებს, მოაქვთ შალისა და სხვა თფილი ჩასაცმელები, აწყობენ პატარა ყუთებში თუთუნს, ყალიონს, ტანის საბან დოქს—თითქოს, საომრათ კი არა, ერთი ოთახიდან მეორეში გადადისო!! მიყავს თან თავის მოსამსახურე ორი მოზდილი ბიჭი..

აქედან წავედით სამხედრო შტაბში, სადაც მუიზა სულთანმა საჭირო განკარგულება მოახდინა და მოხელე პირები მიიღო. თითონ მოკლე სამგზავრო ტანისამოსშია გამოწყობილი უფორმოთ, წელზე პატრონები ბლომათ აქვს, მხარზე „ვინტოვკა“ და გვერდზე მაუზერი ჰკიდია და მართლაც კარგი სანახავია სამხედრო მინისტრის თანაშემწე ასე გამოწყობილი; მასთან, ლამაზი ვაჟკაცია და რეშთის აღებაში დიდი წილი უდევს.

ხუთ საათზე სამასამდე მუჯაიდი (თავისუფალნი მებრძოლნი) შეიკრიბენ არსენალის მოედანზე, რომელთაც წინ მუსიკა და დროშა მოუძღვით. ყველანი კოხტათ არიან ცხენებზე. მუიზამ სულთანს შინაურ ეტლში უზის თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული ფინლიანდელი სვეაბორგის მეომარი მატროსი მეზარბაზნე გძელი ქერა ულვაშებით და დაჭრილი ქართველი, რომელიც თან მიყვება. ჯარი დაიძრა ბაგე-შახში და ხალხმა ყიჟინა ასტეხა: „გაუმარჯოს მებრძოლთ“, „გაუმარჯოს რევოლიუციონერებს“

ჯარი მუსიკის გრიალით შევიდა ბაგე-შახის ეზოში, სადაც (ბამბის კარვები „პალატკები“) აელაგებიათ ჯარისათვის სამგზავროთ.

აქ ფოტოგრაფმა გადაიღო მუიზამის სურათი ცალკე, იარაღში. დაიწყო გამომშვიდობება. საუცხოვო სურათია.

ფინლიანდიელს თეირანის მცხოვრებნი ძმასავით გულში იკრავენ და ეხვევიან. აგერ მოვიდა ჭაღარა მოხუცი, ხელები აუკანკალდა, ტუჩები აუთრთოლდა და გადაეხვია ქერა მეზარბაზნეს. აგერ ლექსო მთიულს მის გაშლილ ვაჟკაცურ სახეს უკოცნიან, შავ გადაგრეხილ ულვაშებს უსწორებენ. აგერ დაჭრილ ქართველს დარჩენას თხოვენ აქ, მარა კაზვინის აღების დროს მოწინავე ბარიკადში დაჭრილი თვალთაგან ცეცხლს ყრის და საომრათ იწევს თავისუფლებისათვის...

მუჯაიდები ფიცს სდებენ ერთმანეთთან ძვირათ დაუსვან რეაქციონერებს თავხედობა. მუსიკამ მარში დაუკრა, სამხედრო მასალებით დატვირთული ფურგონები დაიძრა და ცხენოსნები თავიანთ მერანთ მოახტენ, ხალხმა ლოცვა-კურთხევა გაატანა და ცხენების მიერ აყენებული მტვერი ნიავმა ჰაერში გაფანტა...

საღამოს ექვს საათზე მივედით თალიზადესთან, სადაც შეკრებილი დეპუტატები პროგრამის განხილვას განაგრძობდენ. ბოლოს პროგრამა მიიღეს ხმის უმრავლესობით, ხელის აწევით და დახურულ კენჭის ყრით გამგეობის არჩევას შეუდგენ. არჩეულ იქმნა რასულ-ზადე გამგეთ და პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობა პარლამენტში თალი-ზადეს მიენდო.

17 ოქტომბერს ხმა გაავრცელეს—ასტარა რახიმ-ხანმა აიღო და ჩქარა რეშთსაც აიღებენო! მარა მოვიდა ნამდვილი ცნობა, რომ ქ. რეშთიდან სამოცი კაცისაგან შემდგარი რაზმი გაემგზავრა გურჯ სერგოს მეთაურობით და საუკეთესო სიმაგრები დაიჭირესო.

გურჯ სერგოს თეირანში იცნობენ, როგორც ერთ საუკეთესო ომის მცოდნეთაგანს და მებრძოლს რეშტა-კაზვინ-თეირანის აღების დროს და ხალხი „ვაშა გურჯებსო“ გაიძახის!..

გლახა მგელაძე.

# რუსეთი და იაპონია

—

ამას წინეთ ჩვენ მოყვანილი გვქონდა შორეულ აღმოსავლეთის საქმეთა მდგომარეობის შესახებ სატახტო ქალაქის გაზეთების ცნობები მას შემდეგ, როგორც ვიცათ, მთავრობამ უარყო ის ცნობა, ვითომც მოსალოდნელი იყოს რაიმე უთანხმოება რუსეთსა და იაპონიას შორის, მარა მიუხედავათ ამისა, რუსეთის გაზეთები შორეულ აღმოსავლეთიდან სულ სხვადასხვა ცნობებს ლებულობენ. ზოგიერთი გაზეთის აზრით ომი უსათუოთ მოხდება, ზოგიერთები—უარყოფენ ასეთ ხმებს. ამ საკითხს ეხება „რუს. ვედ“. ის სწერს: მთავრობის განცხადებამ შორეულ აღმოსავლეთის საქმეთა მდგომარეობის შესახებ, ვერ დაამშვიდა საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც რაღაც შიშს შეუპყრია. ამ განცხადებამ თითქოს გაამართლა ასეთი შიში. ამიტომ, ხსენებულ განცხადებას საზოგადოება ნდობით არ შეხვდა.

ნამდვილათ კი, შორეულ აღმოსავლეთის საქმეთა ვითარება არავითარ ისეთ გამოურკვეველ საკითხს არ შეადგენს, თითქოს მის შესახებ გარეშე საქმეთა ხელმძღვანელთ პირდაპირი პასუხის მიცემა არ შეეძლოთ. იაპონიისა და რუსეთის ინტერესებს შორის არავითარი შეურიგებლობა არ არსებობს. რუსეთს არ შეუძლია იოცნებოს თითქოს რაიმე სასყიდელს მიიღებს იაპონიისაგან, აგრეთვე იაპონიას, რომელსაც ჯერ კორეიაც ვერ მოუნელებია, არავითარი საბუთი არ აქვს რუსეთის ქალაქების დაპყრობაზე იფიქროს. თუმცა იაპონია ჯარს აძლიერებს, მარა არც ეს არის საბუთი, თითქოს ის ამით რუსეთის წინაალმდეგ ემზადებოდეს, ვინაიდან, ჯართან ერთათ ის აძლიერებს აგრეთვე ფლოტს და თუ რუსეთთან ომს აპირებს, ფლოტის გაძლიერება რაღათ სჭირია? ზღვაზე ხომ რუსეთი წინააღმდეგობას ვერ გაუწევს მას. იაპონია, როგორც დიდ სახელმწიფოთა უმცროსი წევრი, ცდილობს ყოველი შემთხვევისათვის მზათ იყოს. რუსეთის ტერიტორიის ხელში ჩაგდება შორეულ აღმოსავლეთში იაპონიას ვერ გაამდიდრებს, დააუძლურებს კი. ეს ახალი ადგილები იაპონიისაგან დასაცავათ დიდ ძალას მოითხოვს, რაც მას იაფათ არ დაუჯდება. ამას ემატება ჩინეთის აღორძინებაც. თუმცა ჩინეთის სრული განახლება არც ისე ადრე მოხდება, მარა ეჭვს გარეშეა, რომ განახლებული ჩინეთი სრულიად შესცვლის აზიის საქმეთა ვითარებას და თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ განახლების შემდეგაც ჩინეთი კარგის თვალით იაპონიას არ დაუწყებს ცქერას, ამიტომ იაპონია ყოველთვის ეცდება გაამაგროს რუსეთთან თუ სრული კავშირი არა, მეზობლური დამოკიდებულება მაინც კარგი იქონიოს. ერთი სიტყვით, ისტორიული მსვლელობა იაპონიას აიძულებს რუსეთთან კარგ განწყობილებაში იყოს და თუ მთავრობის განცხადება საზოგადოებას ვერ ამშვიდებს, ეს იმით აიხსნება, რომ საზოგადოება არ არის დარწმუნებული იმაში, რომ საგარეო პოლიტიკის გადამწყვეტი მარტო ოფიციალური ხელმძღვანელნი იქნებიან და არა გარეშე პირნი, როგორც ეს მოხდა იაპონიასთან ომის დაწყების წინ. საზოგადოება რომ იმაში იყოს დარწმუნებული, რომ საგარეო პოლიტიკა ქვეყნის ინტერესების მიხედვით იქნება წაყვანილი, რასაკვირველია, ყოველივე შიში შორეულ აღმოსავლეთის საქმეთა მდგომარეობის შესახებ უსაფუძვლო იქნებოდა, მარა ასეთი იმედი არ არის, რის საბუთსაც იძლევა პრესის ის ნაწილი, რომელიც იაპონიის წინააღმდეგ გალაშქრების საჭიროებას დღესვე მოითხოვს. მაგ. „მოსკოვის უწყებები“ მოითხოვს შორეულ აღმოსავლეთში 300,000 ჯარის კაცის გაგზავნას, რომელიც შეურთდება აჯანყებულთ კორეელთ ან ჩინეთის ჯარს, რომელმაც მანჯურია უნდა დაიცვას. ამასთან, ხსენებული გაზეთი პროტესტს უცხადებს იაპონიას კორეიის ანექსიის შესახებ, ვინაიდან ის მას მიაჩნია რუსეთის დასამარებათ შორეულ აღმოსავლეთში. „ნოვოე ვრემია“, „სვეტი“ და სხვა მემარჯვენე გაზეთები მოითხოვენ აგრეთვე რუსეთის ჯარების გაძლიერებას მანჯურიაში და სხ. ზოგიერთ გაზეთებში პირდაპირ დაიბეჭდა მოწოდება, რომ „მშვიდობიანობის უზრუნველ საყოფათ საჭიროა მანჯურიის გაყოფაო“.

კითხვის ასეთი დასმით რამდენიც გინდა იმდენ უთანხმოებას შექმნი, რაც მშვიდობიანათ არ გადაწყდება. რუსეთის საზოგადოების ერთი ნაწილის და აგრეთვე ზოგიერთი გაზეთების სურვილი, რომ იაპონიის წინაალმდეგ ზომები იქნას მიღებული, უფრო სასაშიშროა მშვიდობიანობისათვის, ვინემ იაპონიის სამხედრო მზადება.

# უკანასკნელი ფოსტა

## შორეული აღმოსავლეთი

**იაპონია-ოსმალეთის დაახლოვება.** „რეჩის“ სიტყვით ოსმალეთ-იაპონია სერიოზულ დამეგობრებას აპირებენ. ამას წინათ იაპონიის დიპლომატები ოსმალეთს ესტუმრენ. იაპონიამ სურვილი გამოსთქვა ოსმალეთთან დიპლომატიური კავშირის დაკავებისა. ამ მიზნით მოლაპარაკებაც გაიმართა ლონდონში, მხოლოდ ცოტა ხნით ეს მოლაპარაკება შესწყდა. ოსმალეთის ელჩს ლონდონში ახალი განკარგულება მიუღია იაპონიასთან მოლაპარაკების განახლების შესახებ.

**„განუყოფელი ჩინეთის კავშირი“.** ნოემბერში ჩინეთში შესდგა „განუყოფელი ჩინეთის კავშირი“. კავშირმა მანიფესტი გამოაქვეყნა, რომელიც მომავალი სახალხო წარმომადგენლებისაგან მოითხოვს, რომ ჩინეთის იმპერიის ერთიანობაზე, ხელუხლებლობაზე და განუყოფელობაზე იზრუნონ, აგრეთვე დონისძიება მიიღონ ჩამორთმეული ადგილების ხელ-ახლა შემოსაერთებლათ. მანიფესტი ბევრს ლაპარაკობს იმ მიწების შესახებ, რომელიც ამურის ნაპირებზე სძევს და, სხვათა შორის, იხსენიებს რუსების მიერ ბლაგოვეშჩენსკში უიარაღო ჩინელების დახრჩობის ისტორიას. („რ“.)

**პარიზის პოლიტიკურ წრეებში.** „რუსკოე სლოვოს“ თავის პარიზელ კორესპონდენტს დაავალა ადგილობრივ პოლიტიკური წრეების აზრი შეეტყო შორეულ აღმოსავლეთში საქმეების მდგომარეობის შესახებ. გარეშე საქმეთა სამინისტროში და ჩინეთ-იაპონიის საელჩოში კორესპონდენტისათვის გაკვირვება გამოუთქვამთ, საიდან წარმოდგა ასეთი ამაღელვებელი ხმები, როდესაც მიზეზი არ ყოფილაო. შემდეგ კორესპონდენტს მიუმართავს სავაჭრო-სამრეწველო, საბაჟო და საბანკო მოღვაწეთათვის, რომელთაც შორეულ აღმოსავლეთთან კავშირი აქვთ. აი მოკლე პასუხი ამ მოღვაწეებისა:

1) იაპონია სწრაფათ აშენებს ანდუნ-მუკდენის რკინის გზას. ამ გზას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს და ჩინეთს საფუძვლიან შიშსა გვრის. გასაშენებელ გზის ყოველ კილომეტრს ოფიციალურათ დაყენებული ჯარის კაცები იცავენ, გარდა ამისა, ინჟენერები, მუშები და სხვა საჭირო პირები—ყველა გადაცმული სამხედრო პირებია. საჭირო მომენტში ეს „მშვიდობიანი მაშენებელნი“ ძალიან საგრძნობ სამხედრო რაზმებს შეადგენენ.

2) მუკდენი ამ ჟამათ ჩინეთის ქალაქათ ითვლება მხოლოდ სახელით. ქალაქის ნამდვილი ბატონ პატრონი კი იაპონელები არიან, რომელთაც ხელში აქვთ ჩაგდებული ქალაქის ვაჭრობა, მიწის მუშაობა, მრეწველობა, ბანკები და სხვა. ეს ეკონომიური დაპყრობა პოლიტიკურ გაბატონებას უმზადებს ნიადაგს.

3) ეჭვს გარეშეა ისიც, რომ იაპონია დიდ სამხედრო სამზადისშია.

4) როგორც კი რუსეთ-ინგლისის დაახლოვების ფაქტი გამოირკვა, გერმანიამ დიპლომატიური მოლაპარაკება გამართა იაპონიასთან იმის შესახებ, თუ რამდენათ საზარალო იქნება იაპონიისათვის რუსეთ ინგლისის დაახლოვება. ბევრჯერ აღნიშნულა აგრეთვე ფაქტი ინგლისსა, იაპონიასა და ჩინეთ შორის არსებულ ეკონომიურ კონკურენციის შესახებ.

**აფიცრების გაწვევა.** გაზეთ „ნიუ-იორკ-ჰერალდს“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ იაპონიის მთავრობამ ევროპაში მყოფი იაპონიის აფიცრები სამშობლოში გაიწვია. მხოლოდ სათადარიგო აფიცრებს ბრძანება მოუვიდათ მზათ იყვნენ პირველი მოწოდებისათანავე სამსახურში გამოცხადდენ. იაპონიის სამხედრო სამინისტრომ ბერლინიდან საჩქაროთ დაიბარა დიდ-ძალი ქინაქინა და საქირურგო ხელსაწყობი.

## საზღვარ-გარეთ

**ინგლისელი სუფრაჟისტკები.** 4 დეკემბერს ლოიდ-ჯორჯი ავტომობილით საარჩევნო მიტინგზე დასასწრებლათ მიდიოდა. შუა გზაზე მას თავს დაესხენ სუფრაჟისტკები. ერთმა მათგანმა ავტომ. კარი გააღო და გვერდით მიუჯდა მინისტრს, მეორემ კარები დახურა და საფეხურზე გაჩერდა. შოფერმა არ იცოდა რა ექნა და ისევ განაგრძო წინსვლა. ავტომ. მყოფმა სუფრაჟისტკამ ლოიდ ჯორჯს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „დღეს თქვენ ჩვეულებრივათ გაკიცხავთ ლორდთა პალატას. ჩვენც, საცოდავ ქალებს, ბევრი საბუთები გვაქვს უკმაყოფილო ვიყოთ ლორდთა პალატის მოქმედებით. იმედი გვაქვს, ქალთა ლიგის მოთხოვნილებებსაც „ჯეროვან ყურადღებას მიაქცევთ“. ლოიდ-ჯორჯმა სუფრაჟისტკას ხმა არ გასცა და მხოლოდ იღიმებოდა. ამან ისე გააბრაზა სუფრაჟისტკა, რომ მინისტრს მხრებში წაავლო ხელი და მაგრათ შეანძრია. ამ დროს ავტომობილიც გაჩერდა. სუფრაჟისტკებს დატუსაღების შეეშინდათ და თავს უშველეს.

**ახალი გემება.** „ნორნინგ პოსტის“ სიტყვით ინგლისის სამხედრო სამინისტროს გადაუწყვეტია ახალი ტიპის სამხედრო გემების დამზადება. გემი დაიტევს 27,000 ტონას, ზედ იქნება 1000 კაცი, ზარბაზნების რიცხვი შემცირებულ იქნება; სამაგიეროთ, შეძენილ იქნება გემებისათვის მსწრაფლ და შორს მსროლელი ზარბაზნები.

## რუსეთი.

**მამა ვერასკინი.** დეპუტატ მღვდლების ჯგუფმა ყოვლად სამღვდელო ევლოღის მიმართა თხოვნით, რომ ზომები მიიღოს მემარჯვენეთა ფრაქციის წევრის მამა ვერასკინის სამარცხვინო მოქმედების წინაალმდეგ. დეპუტატი-მღვდლები ვერასკინს კიცხავენ იმის გამო, რომ ის ადგილიდან ისეთ შენიშვნებს აძლევს დეპუტატებს, ისეთ სიტყვებს ხმარობს თავისი აზრის გამოსახატავათ, რომელიც სრულიად არ შეფერის იმ წოდებას, რომელსაც ის ეკუთვნის. მამა ვერასკინს „ძალიან უსახელებია თავი“ 4 დეკემბერს მომხდარ უწესოების დროს.

**გუბერნატორის გაკიცხვა.** ვიტებსკის საგუბერნიო საკრებულომ დაადგინა პასუხისგებაში მიეცათ ისპრავნიკი და სხვა ადმინისტრატიული მოხელენი მექრთამეობისათვის და სხვა უკანონო მოქმედებისათვის. გუბერნატორმა ეს დადგენილება გააუქმა. სენატის განმარტებით კი გუბერნატორს ერთი ხმის უფლება ეძლევა საგუბერნიო კრებაზე და უფლება არა აქვს საგუბერნიო სამმართველოს დადგენილება გააუქმოს. სენატის 1 დეპარტამენტმა განიხილა გუბერნატორის უკანონო საქციელი და დაადგინა: ვიტებსკის საგუბერნიო საკრებულოს დადგენილება ძალაში დარჩეს, ვიტებსკის გუბერნატორს კი უფლების გადამეტებისათვის გაკიცხვა გამოეცხადოს.

**„აფეთქების“ ტაქტიკა.** 3 დეკემბერს მოხდა მემარჯვენეთა ფრაქციების კრება, რომელზედაც განხილულ იქნა სახელმწიფო სათათბიროს გასული სესიის მოქმედება. დეპუტატების უმრავლესობამ უკმაყოფილება გამოაცხადა ფრაქციის მოქმედების გამო. პურიშკევიჩი და ზამისლოვსკი იმ აზრისა იყვნენ, რომ საჭიროა მემარჯვენენი დაადგენ სახელმწიფო სათათბიროს სისტემატიურ „აფეთქების“ ტაქტიკას. პურიშკევიჩის და ზამისლოვსკის აზრს თანაუგრძნობენ ყველა უკიდურესი მემარჯვენენი.

## ილიას სახელობის სკოლა სოფელ საგურამოში.

ამას წინაზე შემთხვევით საგურამოსკენ გავლა მომიხდა. გაგონილი მქონდა წერა-კითხვის საზოგადოებამ ილიას სახელობაზე ილიასეულ სახლში, საგურამოში, სკოლა გახსნაო. დიდათ მეინტერესებოდა მენახა სკოლა, მით უმეტეს, ამ მხარეს კარგათ ვიცნობ. სწავლაზე დიდათ არ იყვნენ მოწყურებულნი. ვნახე სკოლა და მისმა ნახვამ გული მომიკლა. აქაც ჩვეულებრივი დაუდევრობა და ფორმალიზმი გამეფებულა. მართალია, სკოლა გაუხსნიათ, მაგრამ იმას კი არ ცდილან, რომ სკოლას დაეკმაყოფილებინა ხალხის მოთხოვნილება. სკოლაც ძრიელ ურიგოთ არის მოწყობილი. არ ვიცი რა მოსაზრებით, სკოლა მოუთავსებიათ ბნელ სარდაფში—ისეთი ვიწროობაა—მასწავლებლის სტოლი და სკამი აღარ დაიდგმება—მასწავლებელს არ აქვს მისაბრუნებელ-მოსაბრუნებელი ადგილი სკოლაში ძლივ-ძლიობით ეტევა 30 მოწაფე. მასწავლებელმაც გულ-მტკივნეულათ განაცხადა: „შემეძლო სამოცი მოწაფისთვისაც მომეგლო, მსურველებიც იყვნენ, მაგრამ შენობის სივიწროვის გამო უარი უთხარითო“. ეს ხდება იმ დროს, როცა აქაურებს ამ უკანასკნელ წლის განმავლობაში ყურიდან ბამბის ძველა გამოუძვრიათ. ძველი ანდაზა: „რაც ქნას მამაშენსა, ნურც შენ დარჩეს პარპაშებსაო“ დაუვიწყნიათ და უნდათ შვილებს ან-ბანა ასწავლონ. წარმოიდგინეთ, მახლობელ სოფელ ზაქარიდანაც მიუბარებიათ გლეხებს შვილები და მათ შესანახს 6 მანეთს იხდის თვიურათ. ასეთია ხალხის მისწრაფება სკოლისადმი და იმათ კი უარს ეუბნებიან უადგილობის გამო. სკოლა ვიწრო სიბნელეში ქვემო სართულშია, ამ დროს კი, ზემო სართულში მამულის მოიჯარადრის ცოლი განისვენებს. აღარას ვიტყვით. ადვილი ასახსნელია თუ კი ილიას სახელობის სკოლას ისიც თვითონ ახლო, გამგეობა ასეთი მზრუნველობით ეპყრობა, სხვაგან რა ამბავი იქნება. ფაქტი თვით დაადებს... აბ. წულაძე.

# საპროტესტო წერილი

ჩვენ ქვემოთ ამაზე ხელის მომწერ მუშებს არ შეგვიძლია არ გამოვთქვათ ჩვენი უკმაყოფილება დრ. საზ. გამგეობის იმ დადგენილების წინააღმდეგ, რომლითაც წაართვეს სახ. უნ. არსებულ თეატრალურ სექციას დღეები სახალხო სახლში და სხვას გადასცა, რისთვისაც მათ არავითარი საბუთი არ ქონდა. დრ. საზ. გამგეობა მოვალეა გაასწოროს თავისი შეცდომა და დღეები ისევ სექციას გადასცეს, რომლის მოქმედებით ჩვენ დიდათ კმაყოფილი ვიყავით. დრ. საზ. გამგეობამ სხვას თუ არა, იმას მაინც უნდა გაუწიოს ანგარიში, რომ მისი ასეთი მოქმედებით თვით ზუბალაშვილებს პატივისცემას უკარგავს მუშათა შორის. ჩვენ მოვუწოდებთ ჩვენ სექციას განაგრძოს მუშაობა. იმედია სცენის მოყვარენი არ გახდებიან ინტრიგის მსხვერპლნი და სექციასთან ერთად განაგრძობენ მუშაობას. სცენის მოყვარეებმა არ უნდა გაამართლონ ანდაზა: „იწველა, იწველა და ბოლოს ნაწველი სულ დაღვარაო“. ნუ ჰგონია ნურავის, თითქოს ჩვენ ვერ ვცნობდეთ ვინაა ჩვენთანა და ვინ არა.

ხელს აწერს თფ. რკინის გზის მთავარ სახელოსნოს 41 მუშა *).

# პროვინცია

**ს. მათხოჯი.** სწორეთ ჯოჯოხეთია ჩვენი ცხოვრება. რომელ ერთს უნდა გაუძლონ თავიდან ფეხებამდე გატყავებულმა გლეხებმა — შიმშილს თუ ათასნაირ გადასახადებს. წრევანდელმა გვალვამ მოსავალი სულ გაანადგურა. სულ დიდი-დიდი 10 ჰრთც. თუ აქვს მთელი წლის ხარჯზე. დანარჩენი კი ზოგი ეხლა ყიდულობს სიმინდს, ზოგიც მალე დაიწყებს ყიდვას. სულ მათხოჯში 425 კომლი მცხოვრებია ყველა ღარიბ-ღატაკი. არავითარი შემოსავლის წყარო არ არის. ამიტომ შიმშილისაგან, რომ არ დაიხოცონ, იძულებული არიან გაყიდონ ოჯახის მარჩენალი ძროხა და ხარი. შიმშილს თან დაუმატეთ ათასნაირი გადასახადები და მათხოჯელი გლეხის ტანჯული ცხოვრება თვალწინ დაგიდგებათ.

მათხოჯელი გლეხი.

**გურია.** სოფ. ხვარბეთში დაიჭირეს გ. მამულაიშვილი, ა. მიქატაძე, მ. ტუღუში და უ. მიქატაძე. დაჭერილები ოზურგეთის საპყრობილეში გაგზავნეს.

სოფ. ლიხაური. კვირას 6 დეკემბერს, სოფ. ლეღვაში გაიმართა ლიხაურის და ლეღვის საზოგადოების შერეული ყრილობა. აჭარლებ-ლიხაურლებს შორის უკმაყოფილების შესახებ, აგრეთვე თოიძის მკვლელის და ძარცვაგლეჯის გამო. ყრილობას დაესწრო 200 მდე თათარ-გურული, ლიხაურის მამასახლისი, აჭარლების (ლეღვის საზოგადოების) მამასახლისი და მისიონერი მღ. ნაკაშიძე. პირველათ ლეღვის მამასახლისმა გააკეთა მოხსენება, რომ მაქვს მოწერილობა ჩვენი მაზრის უფროსიდან 3,000 მ. უნდა გადავიხადოთ ჩვენ და ლიხაურის საზოგადოებამ თოიძის მკვლელის გამო. ამაზე ლიხაურის მამასახლისმა სიტ. თოიძემ მოსთხოვა-მოწერილობა გვიჩვენეო, მოწერილობა ლეღვის მამასახლის არ აღმოაჩნდა და თოიძემ ამაზე განუცხადა, ამ ფულის გადახდაში ვერავითარ მონაწილეობას მიიღებს ლიხაურის საზოგადოებაო. ბოლოს გაიმართა მსჯელობა თოიძის მკვლელების აღმოჩენის და ქურდ-ბაცაცების ალაგმვის შესახებ. მკვლელების და ქურდების აღმოსაჩენათ აირჩიეს შერეული კომისია, 15 გურული, 15 აჭარელი და ყრილობა დაიშალა.

ქ. ოზურგეთი. 6 დეკემბერს დილით, ოზურგეთის ციხიდან გაანთავისუფლეს 48 ტუსაღი, ხელმწიფის სახელწოდების დღის გამო. მათ შორის დაჭერილი ვაჭრებიც.

— ამავე დღეს საღამოს 4 საათზე ქალაქის თვითმართველობაში მოწვეული იყო სამკითხველოს გამგეობის მიერ საზოგადო კრება, მაგრამ დახეთ უბედურებას, როდესაც წევრები მოვიდენ დანიშნულებისამებრ თვითმართველობის კარები დაკეტილი დახვდათ, ღამის 7 საათამდე იცადეს წევრებმა, მარა გამგეობა არსად სჩანდა. შემდეგ კი დაიშალენ. გამგეობის ასეთმა მოქმედებამ ცუდი გავლენა მოახდინა წევრებზე. ი.

**დ. ჩოხატაური** (გურია). 6 დეკემბერს, ს. ასკანაში, თავის მამის სახლში დაატუსაღეს და აქ ჩამოიყვანეს მარიამ. ის გადასახლებული იყო 1907 წ. პერმის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე, მაგრამ რადგანაც მას მამა სიკვდილის პირას ყოლია და ძმაც ჭკუაზე შემცდარა, ის ჩამოსულა სამხედრო წესების მოხსნამდე, რისთვისაც დაიჭირეს და 8 დეკემბერს გაგზავნეს კიდეც ოზურგეთში.

— მიწის ბაჟების აკრეფა მთელი თავის სისასტიკით კვლავ გრძელდება გურიაში. ამ ჟამათ მაზრის უფროსის თანაშემწე ს. ჯვარცხმაში იმყოფება და კრეფს ფულებს. გადასახადი ერთობ ბევრია, ზოგს 20 მ. 30 და ას ორას მანეთამდე აუდის. სოფლები შეწრიალებულია!.. მცხოვრებლებმა დროებით საქმის შეჩერება და გამოძიება სთხოვეს გუბერნატორს დეპეშით, მაგრამ პასუხი ჯერაც არ მოსულა.

— აზრათ აქვთ გახსნან წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილება როგორც აქ ისე ხიდისთავში.

— „ეგ. ნინოშვილი და მისი დრო“ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ნება არ დართო გრ. გიორგაძეს ლექცია წაეკითხა.

— ადგილობრივ სამკითხველოს გამგეობა ფიქრობს საშობაოთ მოაწყოს „ალილო“, ბიბლიოთეკის სასარგებლოთ. ლია.

---

*) ხელმოწერილი ორიგინალი ინახება რედაქციაში. რედ.

# უცხოეთი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

**მონობა მეოცე საუკუნეში.**

ამას წინეთ ქ. ბირმინგამში (ინგლისში) ერთი მეტათ საინტერესო საქმე გაირჩა: პასუხის-გებაში მიცემული იყო კონსერვატიული გაზეთი „სტანდარდი“. ხსენებული საქმის გარჩევამ ნათელი მოჰფინა, თუ როგორ უმოწყალოთ ყვლეფდენ პორტუგალიის ახალშენებში ნეგრებს.

მთელს ინგლისში თავისი ქველმოქმედებით განთქმულია ძმათა კედბრის სავაჭრო ფირმა. ამ ფირმას, სხვათა შორის, იმით მოაქვს თავი, რომ ის კარგ პირობებში ამუშავებს მუშებს და სხვა და სხვა საქველ-მოქმედო დაწესებულებებს დიდ დახმარებას უწევს. ამიტომ, ხშირათ, როცა მყიდველს თავის საქონელს აწვდის, იქვე თავის ასეთ მოღვაწეობაზე უთითებს.

წარსულ ზაფხულში ხსენებულ გაზეთში დაიბეჭდა ცნობა, რომ ეს ქველმოქმედი ფირმა თითქოს პორტუგალიის ახალშენებში მონების მიერ დამზადებულ კაკაოს იაფათ იძენდეს და თითქოს ყველაფერი იცოდეს თვით ფირმამ, თუ როგორ უმოწყალოთ ყვლეფენ ნეგრებს. ერთი სიტყვით, გაზეთი უსაყვედურებდა ფირმას — რა საჭიროა ქველ-მოქმედებაზე ლაპარაკი, როცა საწყალი მონების უმოწყალო გაყვლეფას ხედავ და ხმას არ იღებო. გაზეთი პასუხის გებაში მისცეს. სასამართლოში ერთ-ერთ მოწმეთ გამოცხადდა ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრი ედუარდ გრეი. გამოირკვა შემდეგი: ჯერ კიდევ, 1901 წ. მიუღია კედბრის ფირმას ცნობა პორტუგალიის ახალშენებში აუტანელი შრომის პირობების შესახებ. თითონ ფირმას იქ თუმცა არავითარი პლანტაციები არ აქვს და ნედლ მასალას მოსაშვალე პირთა დახმარებით ყიდულობს, მარა ისეთი ალმაშფოთებელი ცნობა მიუღიათ ნეგრების ექსპლოატაციის შესახებ, რომ საქმის გამოძიებას შესდგომიან, საქმის გამოძიებამ მართლაც დაამტკიცა ის, რასაც ამბობდენ ნეგრების უმოწყალო ყვლეფის შესახებ, მარა ფირმამ უარი მაინც არ სთქვა მასალის ყიდვაზე, არამედ — შეეცადა სხვანაირი გავლენა მოეხდინა პორტუგალიის მთავრობაზე და აგრეთვე, პლანტაციების მეპატრონეებზე, რომ შრომის პირობები ნეგრებისათვის გაეუმჯობესებიათ. ამ მიზნით ფირმის ერთ-ერთ მონაწილეს მოლაპარაკება ჰქონდა როგორც ინგლისის, ისე პორტუგალიის მთავრობასთან, თვით ედუარდ გრეისთანაც. სხვა და სხვა დროს ფირმამ კაცები გაგზავნა აგრეთვე იმ ადგილებში, საიდანაც ნეგრები მოჰყავდათ პორტუგალიის ახალშენებში სამუშაოთ, რომ დაახლოვებით გაეგოთ შრომის პირობები. ასე გაგრძელდა საქმე 1908 წ. ამ ხნის განმავლობაში ვერც ინგლისის მთავრობის მეცადინეობამ, რომ დიპლომატიურის გზით „ჩაეგონებია“ „მეგობარ“ პორტუგალიისთვის ნეგრთა შრომის პირობების გაუმჯობ., ვერც ფირმის მუქარამ, რომ მასალას არ წაიღებდა, ვერ გასჭრა. დაბოლოს, კედბრის ფირმამ, ბოიკოტი გამოუცხადა პორტუგალიის ახალშენების საქონელს დარწმუნდა რა, რომ მისმა მეცადინეობამ ნეგრების გაყვლეფის წინააღმდეგ ვერ გასჭრა.

მიუხედავათ იმისა, რომ გრეიმ განაცხადა: ამ ჟამათ ნეგრები აღარ იყვლიფებიანო, ფირმის წარმომადგენელმა დაამტკიცა, რომ ნეგრების უმოწყალო ყვლეფა წინანდებურათ არსებობს. ფირმის მიერ გაგზავნილი კაცი თითონ შეეკითხა ნეგრებს და გამოირკვა შემდეგი: კაკაოს, რომელსაც თქვენ ყიდულობდით, შრომის მონურ პირობებში ვამუშავებდით — ეუბნებიან ნეგრები. კაცები, ქალები და ასე წარმოიდგინე, ბავშვებიც ძალათ გაჰყავდათ სამუშაოთ, მათ ისე მიერეკებოდენ, როგორც პირუტყვს, როცა გემზე გვაჯდენდენ, სახეზე შტემპელს გვაკრავდენ, ხშირათ ზღვის პირიდან სამუშაოთ რამდენიმე ათასი ვერსტის მანძილზე მივყავდით ფეხით. ვინც ვერ შესძლებდა წასვლას და ჩამორჩებოდა — ჰკლავდენ, როგორც მამაკაცების, ისე დედაკაცების და აგრეთვე ბავშვების ყიდვა-გაყიდვა სწარმოებს, თუმცა ისეთი დანიშნული ბაზარი აღარ არის ასეთი „ვაჭრობისთვის“, როგორც ეს ამ 50 წლის წინეთ იყო, მარა მაინც ახერხებენ სხვადასხვა გზით.

ძმ. კედბრმა განაცხადეს სასამართლოში, რომ შეიძლება ჩვენ ვერ მოვიქეცით მიზნის შესაფერათ ვიცოდით რა, რომ აუტანელ პირობებში ამუშავებდენ ნეგრებს და მაინც ვყიდულობდით მათ მიერ დამუშავებულ მასალას, მარა ჩვენ მაინც არ ვართ დამნაშავე, ვინაიდან თავიდანვე ვცდილობდით საქმის მოგვარებას და როცა შევატყვეთ, რომ ვერაფერს გავხდით, მაშინ კიდევაც შევსწყვიტეთ მასალის ყიდვაო. ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ დამნაშავეთ იცნო გაზეთი ფირმის დაუმსახურებლათ შეურაცყოფისათვის და დააჯარიმა, საქმის წარმოების ხარჯებს გარდა, ერთი კაპეიკით. ასეთი მცირე ჯარიმა, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, იმით აიხსნება, რომ სასამართლომ არ მოიწონა აგრეთვე ფირმის და მინისტრ გრეის დიპლომატიური გზით მოქმედება პორტუგალიის მთავრობასთან, რომ ასეთი საშუალებით „გაეუმჯობესებიათ“ ნეგრთა შრომის პირობებიო.

# მუშათა შორის

**დარკვეთი.** შავი ქვის სარეცხი ქარხანა. აქ არსებობს შავი ქვის სარეცხი ქარხანა, რომელშიაც დაახლოვებით 120 კაცამდე ვმუშაობთ. ჩვენი ქარხნის ადმ—ციამ მუშების წინააღმდეგ გალაშქრებაში ყველას აჯობა. წარსულ წლებში აქ შემოღებული იყო რვა საათი, სამუშაო დრო. ეხლა კი, ათი საათია და ქირას კი იმდენს გვაძლევენ, რასაც წინათ.

გარდა ამისა ყველა მუშებს ქარხნისას გვეძლეოდა ბინები, ეხლა ესეც მოგვისპეს. გარდა 20 კაცისა, რომელიც საძაგელ ხოტიო „კაზარმებში“ ცხოვრებენ, ყველანი ოთხიხუთი ვერსტის სიშორისგან დავიარებით სამუშაოზე, რითაც ამ ზამთარში დიდ გაჭირვებას განვიცდით. გვეძლეოდა საწვიმარი პლაშჩები, უბრალო საპონი, მაგრამ დღეს ყველაფერი მოგვისპეს და ყურსაც არ იბერტყავენ ჩვენი აუცილებელი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ. ყველა ამათში ბრალი, რასაკვირველია, დღევანდელ საერთო პირობებს უნდა მივაწეროთ, მაგრამ არა ნაკლები დამნაშავეები არიან თვით მუშებიც. მათში არ არსებობს არავითარი კავშირი და სოლიდარობა, რომ გაათამამებულ „ხაზეინებს“ წინააღმდეგობა გაუწიონ. პირიქით, ერთი მეორეში შურს და მტრობას დიდი გასავალი აქვს.

წარსულ თვეებში აქ შემოიღეს 11 საათის სამუშაო დრო. გაიგეს თუ არა ეს ცოტათი მოწინავე მუშებმა, მაშინვე წინააღმდეგი გახდენ და ურჩიეს ამხანაგებს თვითონაც დაეგმოთ ხაზეინების ასეთი თვითნებობა, მაგრამ იმ მუშებმა, რომელნიც ბევრს ლაპარაკობენ სულ წინააღმდეგი დაგვანახვეს.

აქ არიან ისეთებიც რომლებიც სიტყვით ბევრს ლაპარაკობენ მუშების მდგომარეობაზე, მაგრამ როდესაც საქმეზე მიდგება, მაშინვე ზურგს უჩვენებენ. კულტურულ დაწესებულებაზე მეტია ლაპარაკი. აქ არ არსებობს არც სამკითხველო, არც სხვა რამ. საჭიროა ჭიათურის გაზეთის აგენტი მიაქცევდეს ამ გარემოებას ყურადღება და დღიური გაზეთებს მაინც ჩამოატარებდეს ამ ყრუ ადგილებში.

აქ მეტად განვითარდა ლოთობა და კარტის თამაში. დღე ისე არ გაივლის, რომ მუშტი-კრივი არ გაიმართოს: აქაურ მოვაჭრეებს მეტათ გაეხსნათ მადა და ათჯერ აძრობენ ტყავს მყიდველს. იანეულისელი.

---

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი





1 მანეთიდან ფულის გადახდა ნაწილ ნაწილათ 1 მანეთიდან

ხელის მაშინები 25 მანეთიდან

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქებში განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში.

თფილისში სამი განყოფილებაა: 1) გოლოვინის პროსპექტზე; სასახლის პირდაპირ; 2) ვაგზლის ქუჩა, სახლი ენფიანჯიანცისა; 3) ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა. 20—15




# პატეფონი

დასაკრავი უნემსო პლასტინკები

ძმები პატე პარიზში.

ქვეყანაზე საუკეთესო მოლაპარაკე მანქანა



ფასები 20 მან. და ქვირიც.




ორგვერდიანი პლასტინკები 24 სმ. 28 სმ., და 50 სმ.

მდიდარი რეპერტუარი ყველა ენებზე

ამრეთვე ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე.

ახლათ ჩაწერილი შეუდარებელი არასტასია დიმიტრის ასულის ვიალცევისა

აგრეთვე ინგლისურ და ნემეცურ ორკესტრებისა.

ერთათ ერთი წარმომადგენელი კარლ შუმანი სავაჭრო საწყობი თფილისში, გოლოვინსკი, 10.

ამიერ კავკასიის ყველა ქალაქებში საჭიროა ნარდათ მყიდველები მონოპოლიური ვაჭრობის უფლებით.

ქუთაისში: ა. რ. თაბაგარი. გორში: ვ. გ. მუჩაიძე. 6—3


სტამბა ამხ. „შრომა“ რუსის ქ., 3.